



## ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა

### სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის დახმარებით

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 102 მილიონ ევროს. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში არის შეამციროს სიღარიბე სოფლად. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას.

ENPARD-ის მცირე ფერმერთა კოოპერაციის კომპონენტს ახორციელებენ კონსორციუმში გაერთიანებული ორგანიზაციები: CARE, OXFAM, Mercy Corps, PIN და UNDP საქართველო. 2017 წლის პირველი იანვრისთვის, პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით უკვე დაფინანსდა 260-ზე მეტი კოოპერატივი (დამატებით რამოდენიმეს დაფინანსება იგეგმება 2017 წელშიც). ENPARD-ი განმახორციელებელი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, მხარს უჭერს კოოპერატივებს - გადასცემს მათ აქტივებს (ძირითადად, გრძელვადიან აქტივებს), ახორციელებს მათ ტექნიკურ დახმარებას ტრენინგებითა და ექსპერტული რჩევებით, ეხმარება კოოპერატივებს ნედლეულისა და მასალების ყიდვის და საბოლოო პროდუქტის გაყიდვისათვის საჭირო საბაზრო კავშირების დამყარებაში.

ქვემოთ აღწერილი ძირითადი დასკვნები წარმოადგენს საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერილი კოოპერატივების განვითარების მოკლე შეჯამებას. შედეგები ეყრდნობა ENPARD-ის გრანტის მიმღებ ისეთ 254 კოოპერატივში ჩატარებულ კვლევას, რომლებიც დაფინანსდნენ 2017 წლის პირველ იანვრამდე.

ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება გრძელვადიანი პროცესია, ზუსტი დასკვნების გაკეთება რამდენიმე წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამის მიუხედავად, დღესდღეობით არსებული მონაცემები უკვე იძლევა ევროკავშირის მიერ ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივების განვითარებისათვის თვალის მიდევნების საშუალებას და დაინტერესებული მხარეებს აწვდის ინფორმაციას საწყისი ტენდენციების შესახებ.

## ძირითადი შედეგები:

# საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება

### წევრები და დასაქმება

- გამოკვლეულ 254 კოოპერატივში ჯამურად იყო 2955 წევრი (საშუალოდ 11,6 წევრი ერთ კოოპერატივში). თუმცა, თუ გამოვიცხავთ ორ ყველაზე დიდ კოოპერატივს რომელთა წევრების რაოდენობა თითოეულის შემთხვევაში აღემატება 100-ს, კოოპერატივში საშუალოდ წევრების რიცხვი შეადგენს 9,2-ს (2015 წელს 8,5-თან შედარებით);
- გამოკითხული კოოპერატივების 39% იყენებდა დაქირავებულ შრომას 2016 წელში (2015 წელს 36%-თან შედარებით) [სულ დასაქმებული იყო 1062 ადამიანი, რომელთა უდიდეს ნაწილს (73%) სეზონურად დაქირავებული მუშაკებს წარმოადგენდნენ].

### გენდერული საკითხები

- გამოკვლეული 254 კოოპერატივიდან (2016 წელს):
  - გამგეობის წევრების 23% იყო ქალი (2015 წელს 20%-თან შედარებით);
  - წევრების 32% იყო ქალი (2015 წელს 30%-თან შედარებით);
  - დაქირავებულ მუშაკთა 51% იყო ქალი (2015 წელს 45%-თან შედარებით).
- ჯამურად, კოოპერატივის წევრთა ან კოოპერატივის მიერ დაქირავებულ ადამიანთა დაახლოებით 37%-ს შეადგენდნენ ქალები. (2015 წელს 33%-თან შედარებით).

### კოოპერატივების მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივები

- 2016 წელს, ერთი კოოპერატივის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულება 2015 წელთან (101 ათასი ლარი) შედარებით გაიზარდა 60%-ით და შეადგინა 162 ათასი ლარი, ხოლო 2014 წელთან (54 ათასი ლარი) შედარებით გაიზარდა 200%-ით;
- გრძელვადიანი აქტივების 26% შეძენილ იქნა ევროკავშირის დაფინანსებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი ისეთი წყაროებით, როგორებიცაა: კოოპერატივის წევრთა შენატანები (38%), კოოპერატივის მიერ იჯარით აღებული აქტივები (17%) და სხვა;
- აქტივების 39% მოდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე.

### ფინანსური მონაცემები

#### *წარმოებული პროდუქციის ღირებულება, მთლიანი შემოსავალი და მოგება*

254 გამოკითხული კოოპერატივიდან, 223-მა დააფიქსირა მათ მიერ 2016 წელს წარმოებული პროდუქციის ღირებულება, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 13 მილიონი ლარი. აქედან დაახლოებით 11 მილიონი ლარი იყო რეალური შემოსავალი რაც კოოპერატივებმა 2016 წლის განმავლობაში მიიღეს. ამის 32% (3.5 მილიონი ლარი) კი იყო მოგება.

- საბაზისო წელთან შედარებით (2014), 2016 წელს კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 43%-ით საშუალოდ ერთ კოოპერატივზე გაანგარიშებით;
- თუმცა, თუ შევადარებთ 2015 წელს, იგივე მაჩვენებელი იყო -3% საშუალოდ ერთ კოოპერატივზე გაანგარიშებით, რაც უმეტესად გამოწვეული იყო არახელსაყრელი კლიმატური პირობებით, რომელიც 2015 წელთან შედარებით 2016 წელს უფრო გახშირებული იყო.

## კოოპერატივების 2 წლიანი განვითარება

- მარტო იმ კოოპერატივების გათვალისწინებით, რომელთათვისაც საბაზისო წელი იყო 2014 (ასეთი სულ 91 კოოპერატივია), მათი ფინანსური მდგომარეობა 2016 წელს, 2014 წელთან შედარებით:
  - შემოსავალი საშუალოდ გაიზარდა 64%-ით;
  - მოგება საშუალოდ გაიზარდა 30%-ით.

## რეინვესტირება

- კოოპერატივების უმრავლესობამ (76%) განაცხადა, რომ კოოპერატივის საქმიანობის განსავითარებლად მოახდინა 2016 წელს მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის რეინვესტირება (დაახლოებით იგივე მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელსაც).

## წარმოებული პროდუქციის მოცულობა

გამოკითხული კოოპერატივები ჩართულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის 23 სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში და აწარმოებდნენ პროდუქციის ფართო ასორტიმენტს. 2016 წელს ძირითადი პროდუქტების წარმოების რაოდენობები მოცემულია ქვემოთ:

- 46-მა კოოპერატივმა აწარმოა 72 ტონა **თაფლი** (საქართველოს მთლიანი რაოდენობის 3.4%\*);
- 34-მა კოოპერატივმა აწარმოა 553 ტონა **ბოსტნეული** (საქართველოს მთლიანი რაოდენობის 0.4%);
- 29-მა კოოპერატივმა აწარმოა 1,830 ტონა **სიმინდი** (საქართველოს მთლიანი რაოდენობის 0.75%);
- 25-მა კოოპერატივმა აწარმოა 4,643 ტონა **კარტოფილი** (საქართველოს მთლიანი რაოდენობის 1.9%);
- 20-მა კოოპერატივმა აწარმოა ან გადაამუშავა 681 ტონა (ნაჭუჭიანი) **თხილი** (საქართველოს მთლიანი რაოდენობის 2.3%).

*\*საქართველოს მთლიანი წარმოების მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განახლებული მონაცემებიდან.*

*ეს დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების ფონდის, CARE International-ის, Mercy Corps-ის, Oxfam-ისა და PIN-ის ხელშეწყობით. პრეზენტაციის შინაარსი არის მხოლოდ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების ფონდის, CARE International-ის, Mercy Corps-ის, Oxfam-ის, PIN-ისა და UNDP-ის პოზიციას.*

